

ანგარიში

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია 2018 წლის 13 ნოემბრიდან 24 დეკემბრის პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების თვისებრივი შეფასება. ანგარიშში ასევე შეფასებულია მაუწყებლის ვებსაიტის ცალკეული ვებგვერდები. გამოყენებულია შედარების მეთოდი. კერძოდ, ყურადღება მიექცა იმას, რამდენად შეიცვალა მდგომარეობა წინა წლის საანგარიშო პერიოდში (2017 წლის 6 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით) გამოვლენილი დადებითი მხარეებისა და ხარვეზების ფონზე.

საინფორმაციო და პოლიტიკური ბალანსები

„მომხმე 21 საათზე“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ 10 გადაცემაზე. საერთო ხარისხი გაუმჯობესებულია და „მომხმე“ იკავებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს ტელევიზორცეში არსებულ ანალოგიურ გადაცემებს შორის, თუმცა ვერ დაიმკვიდრა ლიდერის პოზიცია. ამ მხრივ, ვფიქრობ, „ქრონიკას“ აქვს აშკარა უპირატესობა. რაც შეეხება „კურიერს“, ზედმეტი მიკერძოებულობის გამო მისი ყურებადობის მაჩვენებელი არ უნდა იყოს გაზრდილი, თუმცა „მომხმესთან“ შედარებით ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალი შეიძლება ჰქონდეს.

პოზიტივი:

გადაცემა ინარჩუნებს ყველა იმ პოზიტივს, რაც წინა წელს განხორციელებული დაკვირვების პერიოდში ჰქონდა (იხ. „ანგარიში“, 3 იანვარი, 2018წ.). ერთადერთი, რაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდის „მომხმეში“ აღარ გვხვდება, არის გადაცემის ბოლოს არსებული სიუჟეტები, რომლებიც არ იყო დაკავშირებული დღის აქტუალურ საკითხებთან, მაგრამ საინფორმაციო-შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა. გარკვეული კატეგორიის მაყურებლისთვის, მათ შორის ჩემთვის, ეს სიუჟეტები საინტერესო იყო. შესაძლოა, მარკეტინგული თვალსაზრისით ამგვარ სიუჟეტებზე უარის თქმა გამართლებულია.

ნეგატივი:

წინა წელს განხორციელებული დაკვირვების პერიოდთან შედარებით შემცირებულია ხარვეზები, თუმცა კვლავ აღსანიშნავია შემდეგი:

1. იშვიათად მზადდება სიუჟეტები საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემების ან წარმატებების შესახებ.

2. პრაქტიკულად არ გვხვდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭირობორტო თემებზე მომზადებული სიუჟეტები.

3. ექსკლუზიური სიუჟეტები ცოტა არის, მათ შორის აშშ-სა და ევროპასთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას. მაგალითად, 21 დეკემბრის „მომხმეში“ აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული „საქართველოს მხარდაჭერის აქტის“ შესახებ მომზადებულ სიუჟეტში, გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან, სასურველი იქნებოდა ვაშინგტონიდან ექსკლუზიური მასალის მომზადება კანონპროექტის ავტორი კონგრესმენებისა თუ ანალიტიკოსების კომენტარების სახით.

4. ზოგიერთი თემის გაშუქებისას ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, 20 ნოემბრის „მომხმეში“ ჭარბვალიანობის პრობლემის განხილვისას არ იყო წარმოდგენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პოზიცია.

5. მწვავე შიდაპოლიტიკურ საკითხებზე მომზადებულ სიუჟეტებში, ძირითადად, შენარჩუნებულია ნეიტრალური ტონი, თუმცა დროდადრო სახელისუფლო პოზიციის მხარდამჭერი განწყობა იჩენს ხოლმე თავს. მაგალითად, 21 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრ გ.გახარიას პარლამენტში ანგარიშით წარდგენის შესახებ სიუჟეტი ოდნავ მიკერძოებული იყო. ასევე, იმავე გადაცემაში ველისციხეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პოლიციის მიერ განხორციელებული დაკავების ფაქტებზე მსჯელობისას არ იყო ნათქვამი, რომ ოთხი დაკავებულიდან ორი ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული ძალადობისთვის იყვნენ დაკავებული. ნახსენები იყო მათი გვარები, მაგრამ დაკავების მიზეზის განმარტება არ მომხდარა.

6. მეტი ყურადღებაა საჭირო საყოველთაოდ ცნობილი უცხოური გვარ-სახელების სწორად ხსენების მიმართ როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მაგალითად, 15 დეკემბერს „მომხმის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც დაანონსდა ქართველი

მხატვრის, სვიმონ დადიანის, პერსონალური გამოფენა. სიუჟეტში მხატვარი რამდენჯერმე იყო მოხსენიებული „ქართველ მოდელიანად“ (და არა მოდილიანად) და ეს არ იყო მხოლოდ დიქტორის ტექსტში. სიუჟეტის განმავლობაში ეკრანის ქვედა ნაწილში რჩებოდა სიუჟეტის სათაური - „ქართველი მოდელიანის დაბრუნება“.

„არჩევნები 2018“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ 11 გადაცემაზე. აქედან ერთი იყო განსხვავებული ფორმატის, როდესაც გადაცემის წამყვანები აუდიტორიაში მოწვეულ ახალგაზრდებს განათლებისა და დასაქმების საკითხებზე ესაუბრებოდნენ. ძირითადად, გადაცემამ შეასრულა დასახული ამოცანა და მაყურებელს შესთავაზა ის ინფორმაცია, რაც მას, როგორც ამომრჩეველს, დაეხმარა არჩევანის გაკეთებაში.

პოზიტივი:

1. ფორმატი სწორედ არის მოფიქრებული, როდესაც დასაწყისში გადაცემის წამყვანები მაყურებელს არჩევნებთან დაკავშირებით დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზს სთავაზობენ, ხოლო შემდგომ სტუდიაში შემოჰყავთ ერთი ან რამდენიმე სტუმარი.
2. ყველა წამყვანი გამოირჩევა პოლიტიკური თემატიკის ცოდნითა და ანალიზის უნარით და ადვილად ახერხებენ მაყურებლის დაინტერესებას.

ნეგატივი:

1. დაკვირვების ქვეშ მყოფ გადაცემებში მოწვეულ სტუმართა შორის შესამჩნევად ჭარბობდნენ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები (პრემიერ-მინისტრი და სამი მინისტრი). ოპოზიციური ძალების მხარდამჭერთაგან მხოლოდ ერთხელ იქნა მოწვეული წარმომადგენელი (თ.ჩერგოლეიშვილი), ისიც არა „გაერთიანებული ოპოზიციის“, რომლის კანდიდატიც იღებდა არჩევნებში მონაწილეობას.

2. ერთ შემთხვევაში (21 ნოემბერი) გადაცემის წამყვანებმა გვერდი ვერ აუარეს „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებულ შეცდომებს და მოსახლეობის დიდ ნაწილში ამ მიზეზით დამკვიდრებულ უკმაყოფილებას, მაგრამ ცდილობდნენ ხსენებული შეცდომებზე პასუხისმგებლობა აეცილებინათ პარტიის ლიდერისთვის და ყველაფერი მთავრობისთვის დაებრალებინათ.

3. იშვიათი გამონაკლისის (საუბარი თ.ჩერგოლეიშვილთან) გარდა სხვადასხვა დოზით შეიმჩნეოდა ტენდენციურობა. ეს შეეხება როგორც გადაცემის დასაწყისში წამყვანებს შორის საუბარს, ისე მოწვეულ სტუმრებთან დისკუსიას. მაგალითად, 21 და 26 ნოემბერს გასულ გადაცემებში პირდაპირ იყო მინიშნება „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებაზე „ზნეობრივი ნიურნბერგის“ გზით. ვფიქრობ, ეს საკითხი სცილდება მოცემული მიზნით შექმნილი გადაცემის ფორმატს და სხვა დროს და სხვა ფორმატში უნდა იყოს განხილული. ხსენებული ერთგვარი მიკერძოებულობა საზოგადოებრივი მაუწყებლის პოტენციური აუდიტორიის ნაწილში გადაცემისადმი ნდობას, სავარაუდოდ, შეამცირებდა.

„დღის თემა“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ ხუთივე გადაცემაზე. გადაცემა საინტერესოა და საჭირო, თუმცა ფორმატი დახვეწას საჭიროებს.

პოზიტივი: გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს რესპონდენტების იმგვარ შერჩევას, რომ განსახილველ საკითხზე განსხვავებული პოზიციები იყოს წარმოჩენილი. შესაბამისად, გადაცემა პოლიტიკურად დაბალანსებულია. წამყვანიც, როგორც წესი, კარგად არის მომზადებული და შეკითხვებიც რელევანტურია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საუბრის ტონალობა ზომიერია, რაც მაყურებლისთვის მოსაწონი უნდა იყოს.

ნეგატივი: დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთი გადაცემიდან ოთხი ისეთ თემებს ეხებოდა, რომელიც ქვეყანაში მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებულ დაპირისპირებას თვალნათლივ წარმოაჩენდა, რაც მაყურებელში პოლიტიკური ცხოვრების პოლარიზების აღქმას კიდევ მეტად ამძაფრებს. ამავდროულად, გადაცემის ფორმატი არ გულისხმობს დაპირისპირებული პოზიციების დაახლოებისა და სიტუაციის განმუხტვის გზების ძიებას, რაც საზოგადოებაში, სავარაუდოდ, სასოწარკვეთას იწვევს.

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში გასულ ექვსივე გადაცემაზე. გადაცემა მიმოხილვითია და მრავალსიუჟეტოანი, რაც თავისთავად საინტერესოა. მსგავსი ფორმატის გადაცემა კონკურენტ არხებზე არ არსებობს.

პოზიტივი: სიუჟეტების თემები, ხშირ შემთხვევაში, აქტუალურია და კვალიფიციურად არის მომზადებული.

ნეგატივი:

1. გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ხდება თემების შერჩევა ყოველი შემდგომი გადაცემისთვის. მაგალითად, 9 დეკემბერს გასულ გადაცემაში გავიდა სიუჟეტი ავლაბარში არსებული არალეგალური სტამბის შესახებ, რაც, ჩემი აზრით, არც აქტუალური და არც იმდენად ღირებული თემაა, რომ შემეცნებითი თვალსაზრისით მაყურებლის უმრავლესობისთვის საინტერესო ყოფილიყო; ასევე, არ იყო აქტუალური სიუჟეტი რამდენიმე თვის წინ არსებული თაღლითური სქემის შესახებ, რომელიც რუსეთში გამართული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბილეთების ონლაინ-შესყიდვებს ეხებოდა.

2. იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგიერთი სიუჟეტი განსახილველი თემის ირგვლივ ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებას არ ასახავს. მაგალითად, 18 ნოემბრის გადაცემაში 14 წლის წინ დაკარგული ბავშვის ცხედრის ძებნასთან დაკავშირებულ სიუჟეტში არ იყო მოყვანილი პროკურატურის პოზიცია, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის (გ.გახარია) კომენტარი იყო მოკლე და ზოგადი.

3. იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგიერთი სიუჟეტი, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო თემას ეხება, ძირითადად ფაქტების მოყვანით შემოიფარგლება და შედარებით ზედაპირულ ანალიზს სთავაზობს მაყურებელს. მაგალითად, 18 ნოემბრის გადაცემაში ლუსტრაციის კანონის შესახებ სიუჟეტი.

4. გადაცემა 90 წუთს გრძელდება და, სავარაუდოდ, მაყურებლისთვის დამლული ან მოსაწყენი შეიძლება იყოს.

„42-ე პარალელი“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ ხუთივე გადაცემაზე.¹ გადაცემა კვალიფიციურ ანალიზს სთავაზობს მაყურებელს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ თემებზე. მსგავსი ფორმატის გადაცემა კონკურენტ არხებზე არ გვხვდება.

პოზიტივი:

1. შერჩეული თემები აქტუალურია და ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა საქართველოს პირდაპირ არ უკავშირდებოდეს.
2. ანალიზი კომპეტენტურია და სხვადასხვა წყაროებს და მოსაზრებებს ეფუძნება.
3. სიუჟეტები ოპტიმალური ქრონომეტრაჟისაა და გადაცემას დინამიკურს ხდის.

ნეგატივი: გადაცემა ინფორმირებულ მაყურებელზეა გათვლილი და გარკვეული სეგმენტისთვის, შესაძლოა, არ იყოს საინტერესო.

„აქტუალური თემა“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ სამივე გადაცემაზე. წინა წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით ახლანდელი გადაცემის ფორმატი შეცვლილია - დისკუსიაში აღარ მონაწილეობენ მაუწყებლის ანალიტიკოსები, რომლებიც მთავარ სტუმართან აწარმოებდნენ დისკუსიას.

პოზიტივი:

1. სტუდიაში დისკუსიაში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, რაც ამცირებს დისკუსიის ცხარე კამათში გადაზრდის შესაძლებლობას.
2. სადისკუსიო თემების ირგვლივ ხერხდება საპირისპირო თვალთახედვის წარმოჩენა.
3. სამიდან ორ გადაცემაში განხორციელდა გარე რესპონდენტების ჩართვა, რაც გადაცემას დინამიზმს სძენს.
4. წამყვანი ახერხებს დისკუსიის კონსტრუქციულ რეჟიმში წაყვანას.
5. წამყვანი მომზადებულია გადაცემისთვის, მაგრამ ფაქტობრივად არ სარგებლობს „შპარგალკით“.

¹ 22 დეკემბერს ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციის გამო გადაცემა ეთერში არ გასულა.

5. გადაცემაში არ ხორციელდება სარეკლამო ჭრა.

ნეგატივი:

1. ზოგჯერ წამყვანი უადგილოდ ცდილობს შეკითხვის დასმას და არ აძლევს მოსაუბრეს აზრის დასრულების საშუალებას.

2. 21 დეკემბრის გადაცემაში, რომელიც ზ.გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების გამოძიების ვადის გაგრძელებას ეხებოდა, არ იყო პროკურატურის პოზიცია წარმოდგენილი.

3. წამყვანმა რამდენჯერმე იხმარა სიტყვა „დაკვალიფიცირდა“. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სალაპარაკო ენაში უკვე დამკვიდრდა ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, „დაანონსდა“ და „დარეგისტრირდა“, არ არის სწორი უცხოური, ძირითადად, ლათინური წარმოშობის, სიტყვების ქართული ენის გრამატიკულ ფორმებში ჩასმა. მხედველობაში მაქვს ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, „დაორგანიზდა“, „ლეგიტიმიზირდა“ და სხვ.

„კვირის ინტერვიუ“

ზოგადი შეფასება: საანგარიშო პერიოდში გადაცემა საარჩევნო პაუზის გამო ეთერში მხოლოდ 6, 13 და 20 დეკემბერს გავიდა. გადაცემის საერთო ხარისხი გაუმჯობესებულია.

პოზიტივი:

1. შენარჩუნებულია ყველა ის პოზიტივი, რაც ამ გადაცემას წინა წლის საანგარიშო პერიოდში დაკვირვებისას ახასიათებდა (იხ. „ანგარიში“, 3 იანვარი 2018წ.).

2. წამყვანი ამჟღავნებს მოსმენის უნარს და სტუმარს აზრის დასრულების საშუალებას აძლევს.

3. წამყვანი სწორად ანაწილებს დროს და ყველა მთავარი შეკითხვის დასმას ასწრებს.

ნეგატივი: ზოგჯერ დისკუსია ზედმეტად „მშვიდ და კეთილგანწყობილ“ ტონალობაში მიმდინარეობს და აკლია „მძიმე საუბრისთვის“ (hard talk) დამახასიათებელი სიმწვავე.

„რეალური სივრცე“

ზოგადი შეფასება: დაკვირვება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში ეთერში გასულ ექვსივე გადაცემაზე.

პოზიტივი:

1. ექვსივე გადაცემა მიემდვნა აქტუალურ თემებს.

2. ყველა გადაცემა პროფესიონალურად იყო გაკეთებული: თავად წამყვანი სათანადოდ იყო მომზადებული და აუდიტორიაც დაბალანსებული იყო საკითხით დაინტერესებული ყველა მხარის წარმოდგენით.

3. მისასაღმებელია ახალგაზრდების პრობლემებისადმი ცალკე გადაცემის მიძღვნა.

4. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, გადაცემის მსვლელობისას ხერხდება კონსტრუქციული ატმოსფეროს შენარჩუნება.

ნეგატივი:

1. ეთერი არ დათმობია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკას.

შეხასიათი

1. ვებგვერდზე „პოლიტიკა“ ბევრი საინტერესო მასალაა. ამავე დროს, სასურველია ცალკეული ავტორების მასალებთან ერთად მომზადდეს სარედაქციო სტატიები, ან სხვა ავტორის მიერ მომზადებული მასალა, რომელიც ალტერნატიულ ხედვას შეიცავს. ასე მაგალითად, პ.ზაქარეიშვილის მასალა „საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში - გამოუყენებელი პოტენციალი და მომავლის პერსპექტივები“ უდავოდ საყურადღებოა, მაგრამ კარგი იქნებოდა იქვე იყოს წარმოდგენილი ალტერნატიული მოსაზრებაც, რათა შეიქმნას ერთგვარი სადისკუსიო სივრცე, სადაც მკითხველი თავის კომენტარებს გააკეთებდა. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება ვებგვერდისადმი ინტერესი.

2. დიდი ინტერესით გავეცანი ვებგვერდს „საინტერესო ადამიანები“. ნამდვილად კარგი სიახლეა. პროფესიულადაც მაღალ დონეზეა ჩაფიქრებული და შესრულებული. შენიშვნა არ მაქვს.

3. „მრავალფეროვანი საქართველო“ საჭირო რუბრიკაა, მაგრამ დახვეწას მოითხოვს. შეინიშნება თემატური „შიმშილი“. „როგორ ვისწავლე ქართული“ ან საახალწლო თუ სხვა მილოცვები საკმარისი არ არის. საინტერესო იქნებოდა ობიექტურად გაშუქება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წინაშე მდგომი პრობლემებისა და გამოწვევების.

4. სამწუხაროა, რომ აღარ არსებობს ვებგვერდი „ანალიტიკური ჟურნალი“. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, მომზადებულ მასალებს თავისი მკითხველი ჰყავდა. ეს ანალიტიკური კომპონენტი საზოგადოებრივ მაუწყებელს დადებითად გამოარჩევდა კონკურენტი არხებისგან.

5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების არქივის ვებგვერდის ინტერფეისი არ არის „მეგობრული“. „რუსთავი 2“-ის ვებგვერდზე კურსორის ნავიგაციით უფრო ადვილად არის შესაძლებელი გადაცემის მოძიება სასურველი თარიღისა და საათის მიხედვით. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებსაიტზე ეს ე.წ. სქროლინგით უნდა გაკეთდეს. თანაც, გადაცემები ორ ან მეტ ვიდეოსეგმენტებად არის დაყოფილი და წარმოდგენილი.

დასკვნა და ზოგადი რეკომენდაციები

საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო ბადე, შეიძლება ითქვას, დახუნძლულია სხვადასხვა ფორმატის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემებით. ამ რაოდენობის გადაცემები არცერთ სხვა კონკურენტ არხს არა აქვს. შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს პოტენციური შესაძლებლობა სხვასთან შედარებით მეტად იმოქმედოს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ხსენებულ „მრავალხმიანობაში“ უამრავი საჭირობოროტო თემა თუ პრობლემა განიხილება, რაც საზოგადოების მოთხოვნებს უდავოდ პასუხობს. ამავდროულად, გვეჩვენება, რომ არასათანადო ყურადღება ეთმობა რიგ საკითხებს. რამდენიმეს ჩამოვთვლი:

1. საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება, პირველ რიგში, საქართველოში ევროპული ყაიდის ფასეულობების, ინსტიტუტების, სოციალური ქცევის ნორმების დამკვიდრებას გულისხმობს, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით ხელშეწყობა სჭირდება.
2. ქვეყნის გამთლიანება აფხაზებისა და სამხრეთელი ოსების შემორიგებას გულისხმობს, რაც, პირველ რიგში, მოითხოვს საზოგადოებაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. როგორ უნდა მოხდეს ეს? სად გადის „წითელი ხაზები“? შეიძლება გვერდი ავუაროთ მათ? ამ მიმართულებით საჯარო დისკუსიები ცოტაა და აქაც საზოგადოებრივ მაუწყებელს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.
3. პრაქტიკულად არ ისმის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ხმა. ადგილობრივი თვითმმართველობების გარდა მათი პრობლემებით არავინ ინტერესდება. შესაბამისად, ხდება გაუცხოება. არადა, მათი მხრიდან ქვეყნისადმი ლოიალობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი მაუწყებელი ის პლატფორმაა, სადაც, პირველ რიგში, უნდა ხდებოდეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭირობოროტო საკითხების განხილვა.
4. დემოგრაფია და ემიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემებია, რომელთა გამოც სახეზეა სახიფათო ტენდენცია დეპოპულაციის სახით. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს თვითმყოფადობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ თემებზე საჯარო დისკუსიები გასააქტიურებელია და, სასურველია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი შეუწყოს ამას.
5. საქართველოს ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკის გამო თუ სხვა მიზეზით ბოლო პერიოდში ბევრი უცხოელი დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში. მათი ჯეროვანი სოციალური ინტეგრაცია საყურადღებო საკითხია. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია, როგორ უყურებს

ამ მოვლენას ჩვენი საზოგადოება, საინტერესოა, როგორ აღიქვამენ ისინი საქართველოს და არიან თუ არა ლოიალური ჩვენი სოციალური ინსტიტუტების მიმართ. ამ საკითხებზე მსჯელობა ასევე დასაწყებია და აქაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა ითავოს ეს.

ვფიქრობ, „რეალური სივრცე“ ერთ-ერთი ის გადაცემაა, რომლის ფორმატიც ამ თემებზე საუბარს ყველაზე კარგად მოერგებოდა.

დაბოლოს, სასურველია, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოერიდოს შიდაპოლიტიკურ მწვავე თემებზე საკუთარ შეფასებებს, მათ შორის რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი პოზიციის მეტად წარმოჩენის მიზნით გადაცემებში სათანადო რაოდენობის გარე ექსპერტების თუ პოლიტიკოსების მოწვევას. ეს მის მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობას გაზრდიდა და მასთან ერთად ყურებადობის მაჩვენებელსაც.

24 დეკემბერი, 2018წ.